სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/128

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგულენოვანი მოდულის სასწავლო კურსების წამყვანი მასწავლებლის ნინო გორგაძის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტის დეკანის გიორგი ქვარცხავასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტის „სასურსათო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგულენოვანი მოდულის სასწავლო კურსების წამყვანი მოწვეული მასწავლებლის ნინო გორგაძის ანაზღაურება 2022-2023 სასწავლო წლისათვის განისაზღვროს საათში 45 ლარით;
2. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) წარადგენს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი თამარ წერეთელი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**